

**ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 17 )

პროგრამა განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაზნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიურ ავადმყოფთა ონკოლოგიური კვლევის დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი:**

მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო:**

პროგრამის დაფინანსება ხორციელდება გარდაზნის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა:**

პროგრამა ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლები:**

პროგრამით მოსარგებლები არიან ონკოლოგიური ავადმყოფები.

**მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლების დაფინანსება:**

პროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიური ავადმყოფების საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, თუ:

- 1). ავადმყოფს ესაჭიროება ონკოლოგიური მანიპულაციებისათვის გამოკვლევები მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.
- 2). საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამით, დახმარება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება:
  - ა). ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ღირებულების 80%-ით;
  - ბ). ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ღირებულების 100%-ით, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-სს.
- 3). საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურება ნაწილობრივ ფინანსდება კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის მიერ თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება:
  - ა). ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ღირებულების 50% -ით;
  - ბ). ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ღირებულების 100% -ით, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-სს.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები:**

- ა) განცხადება ან/და შუამდგომლობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისაგან;
- ბ) განმცხადებლის ან/და პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მოწმობის ასლი(იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);
- დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის სტატუსის მქონე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ის არ არის ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არის რეგისტრირებული;
- ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #IV-100/ა);
- ვ) სამკურნალო დაწესებულების მიერ გაცემული კალკულაცია ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ,(სოციალურად დაუცველის შემთხვევაში;( ამონაწერის გაცემის თარიღი არ უნდა აღემატებოდეს ბოლო ერთ თვეს))
- თ) ცნობა კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ი) შესრულებული სამედიცინო მომსახურებისას ცნობა ან სხვა დოკუმენტი (ხელშეკრულება,შეთანხმება); სამედიცინო დაწესებულებიდან გადასახდელი დავალიანების (გადავადების) თაობაზე;

## **მუხლი 7 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის ორგანიზება:**

1. სოციალური დახმარების მისაღებად, ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს.
2. მუნიციპალიტეტში შემოსული დახმარების მთხოვნელთა განცხადებები თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში.
3. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს პროგრამის დასახელება და დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას სრულყოფილად.
4. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების ვადად განისაზღვრება 30 კალენდარული დღე.
5. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარებას, გარდა სტომატოლოგიის და პლასტიკური ოპერაციებისა.

6. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განისაზღვრება არა უმეტეს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

7. 3000 (სამი ათასი) ლარის ზევით დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

#### **მუხლი 8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილება:**

1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური დოკუმენტაციასთან ერთად შემოსული განცხადებების შემოწმების ან/და ადგილზე გადამოწმების შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამახადებს ადმინისტრაციულ დაპირებას მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს მიმართავს ხარვეზის შესასწორებლად.

2. გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე შესაბამისი დაწესებულებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია, ამახადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, აცნობებს სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის შესწორების შესახებ.

#### **მუხლი 9. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება:**

1. ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს(ბრძანებას)-თანხის გამოყოფის შესახებ.

#### **მუხლი 10. დახმარების გაცემის წესი:**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის(ბრძანების) მომზადებას წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში;

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გადაგზავნას ელექტრონული მოდულის მეშვეობით როგორც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურში, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში;

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ამ პროგრამის მე-9 მუხლის თანახმად გამოცემულ ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

#### **მუხლი 11. პროგრამის შეფასების ინდიკატორი:**

1.პროგრამაში ჩართული მოქალაქეების რაოდენობა.

**მუხლი 12. პროგრამის შედეგი:**

1. მოსახლეობისათვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.